



2021 წ.

# 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარ-თებერვალი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, მარტი, 2021 წ.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 16,758.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 18,384.5 მლნ ლარის ოდენობით. 2021 წლის იანვარ-თებერვალში შემოსულობების შესრულება შეადგენს 2,873.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 17.1%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 674.6 მლნ ლარით (30.7%-ით) აღემატება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 2,488.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 13.5%) და 405.7 მლნ ლარით (19.5%-ით) აჭარბებს წინა წლის იანვარ-თებერვლის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 2 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2012-2021 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 2 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 2 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2012-2021 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>1</sup> 4,408.8 მლნ ლარით, ხოლო 2 თვის შესრულება 65.2%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი დონით გამოირჩევა შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტების მაჩვენებლები, რაც შესაბამისად შეადგენს 3 თვის გეგმის 65.4%-ს და 65.7%-ს. შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის მაჩვენებელი, 3 თვის გეგმის 1.8%. რაც შეეხება შემოსულობების მეოთხე კომპონენტს, ფინანსური აქტივების კლებას, იანვარ-თებერვალში აღნიშნული კომპონენტის შესრულებამ 3 თვის გეგმის 103.9% შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა შეადგენს 4,302.4 მლნ ლარს, ხოლო 2 თვის შესრულება - 3 თვის გეგმის 57.8%-ს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 57.5%-ს უტოლდება. შესრულების კარგი დონით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის მაჩვენებელი, რაც 3 თვის გეგმის 67.0%-ს შეადგენს. ვალდებულებების კლების კომპონენტის მაჩვენებელი შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება, 3 თვის გეგმის 60.6%. ხოლო, რაც შეეხება გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ფინანსური აქტივების ზრდას, აღნიშნული კომპონენტის შემთხვევაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრა - 3 თვის გეგმის 29.9%.


<sup>1</sup> საქართველოს 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №333 ბრძანება.

დასახელება	2021 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	2 თვის შესრულება	2 თვე/3 თვის გეგმა	დასახელება	2021 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	2 თვის შესრულება	2 თვე/3 თვის გეგმა
შემოსულობები	16,758.1	4,408.8	2,873.1	65.2%	გადასახდელები	18,384.5	4,302.4	2,488.2	57.8%
შემოსავლები	11,179.2	2,954.5	1,930.9	65.4%	ხარჯები	12,758.3	3,462.6	1,990.5	57.5%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	32.0	0.6	1.8%	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,416.9	429.1	287.4	67.0%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	18.1	18.8	103.9%	ფინანსური აქტივების ზრდა	402.7	125.7	37.5	29.9%
ვალდებულებების ზრდა	5,278.9	1,404.2	922.9	65.7%	ვალდებულებების კლება	2,806.6	285.0	172.7	60.6%

ცხრილი 1: 2021 წლის 2 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ<sup>2</sup> 2 თვეში შეადგინა -59.7 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - -346.5 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლების 2 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2012-2021 წლების 2 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2012-2021 წლების 2 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 2,311.4 მლნ ლარი. იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 384.9 მლნ ლარი შეადგინა და 2021 წლის 1 მარტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,696.3 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.


<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვინგენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თებერვლის თვის მაჩვენებლები

2021 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 1,690.6 მლნ ლარი, რაც 508.1 მლნ ლარით მეტია იანვრის მაჩვენებელზე, ხოლო 674.7 მლნ ლარით აღემატება წინა წლის თებერვლის მაჩვენებელს. რაც შეეხება 2021 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,207.4 მლნ ლარს, რაც იანვრის მაჩვენებელზე 73.3 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2020 წლის თებერვლის მაჩვენებელს აღემატება 183.9 მლნ ლარით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2019-2021 წლებში თვეების მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2019-2021 წლებში თვეების მიხედვით




დიაგრამა 3: სახელმწიფო ბიუჯეტო შემოსულობები და გადასახდელები 2019-2021 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:

შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (51.1%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სასსრების (48.9%) ხარჯზე. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 0.2 მლნ ლარი, ხოლო ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 0.1 მლნ ლარი.


2021 წლის თებერვალში ხარჯების შესრულებამ შეადგინა 977.5 მლნ ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის შესრულებამ - 146.2 მლნ ლარი, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულებამ - 30.0 მლნ ლარი, ხოლო ვალდებულებების კლების შესრულებამ - 53.8 მლნ ლარი.

შემოსულობები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 4: შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)


გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 5: გადასახდელები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების მიმოხილვა, რაზეც თებერვალში მიღებული შემოსავლების 94.8%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 48.5% მოდის. თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან 819.4


გადასახადები სახეობის მიხედვით



დიაგრამა 6: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი სახეობის მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახადების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი თებერვალში განუვლი

ხარჯები სახეობის მიხედვით



დიაგრამა 7: განუვლი ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2021 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა -113.5 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -259.6 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თებერვალში მიღებული შემოსულობებისა (1,690.6 მლნ ლარი) და განუვლი გადასახადების (1,207.4 მლნ ლარი) გათვალისწინებით, თებერვლის თვეში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 483.2 მლნ ლარი.

<sup>4</sup> 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2021 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 2,873.1 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 67.2%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2019-2020 წლებთან შედარებით გაზრდილია, რაც ძირითადად განპირობებულია გრანტების სახით მიღებული შემოსავლების მატებით. რაც შეეხება შემოსავლების წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წლებთან შედარებით შემცირებულია. კერძოდ, 2020 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 77.4%-ს, ხოლო 2019 წელს 90.9%-ს. წინა წლებთან

2019-2021 წწ. 2 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 8: 2019-2021 წწ. 2 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შედარებით მკვეთრად გაზრდილია ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად მთლიან შემოსულობებში. კერძოდ, 2021 წლის 2 თვეში ვალდებულებების ზრდა შემოსულობების 32.1%-ს შეადგენს, ხოლო, 2020 წელს 21.6%-ს და 2019 წელს 8.8%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 0.7%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი 2020 წელს 1.0%-ს, ხოლო 2019 წელს 0.3%-ს შეადგენდა.

**შემოსავლების** სახით 2 თვეში მიღებულია 1,930.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 65.4% და წლიური გეგმის 17.3%, წინა წლის მაჩვენებელს კი 229.8 მლნ ლარით (13.5%-ით) აღემატება. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, გადასახადები და სხვა შემოსავლები კარგი შესრულების დონით გამოირჩევა, ხოლო გრანტების შესრულებაში ვლინდება მნიშვნელოვანი დადებითი გადახრა.

იანვარ-თებერვალში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 1,654.1 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 62.4%-ს და წლიური გეგმის 16.0%-ს შეადგენს, რაც ძირითადად უკავშირდება აქციზის, საშემოსავლო გადასახადისა და სხვა გადასახადების შესრულების მაღალ მაჩვენებლებს (3 თვის გეგმის, შესაბამისად, 75.9%, 65.3% და 154.6%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 34.0 მლნ ლარით (2.1%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება უკავშირდება, ასევე, აქციზისა და სხვა გადასახადების ზრდას (შესაბამისად, 30.4 მლნ ლარითა და 213.7 მლნ ლარით). თავის მხრივ, აქციზის ზრდა განპირობებულია იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის (21.4 მლნ ლარით) 129.2%-იანი მატებით. რაც შეეხება დღგ-ს, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 83.2 მლნ ლარით (12.7%-ით), რაც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ-ს 36.3%-ით (87.9 მლნ ლარით) შემცირებასთან (იმპორტირებული პროდუქციიდან დღგ მცირედით, 1.1%-ით, 4.7 მლნ ლარით, გაზრდილია). წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია საშემოსავლო გადასახადი (93.7 მლნ ლარით, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 72.6 მლნ ლარით შემცირების გავლენით) და მოგების გადასახადი (30.1 მლნ ლარით).



დიაგრამა 9: 2020-2021 წწ. 2 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მარვენებელი (176.7 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა და 3 თვის გეგმის 93.5%-ს და წლიური გეგმის 61.6%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია იანვარში ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით 163.6 მლნ ლარის ჩარიცხვასთან. ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 1.1 მლნ ლარის ოდენობით და აგრეთვე, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი - 28.3 ათასი ლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 11.9 მლნ ლარის ოდენობით.

**სხვა შემოსავლების** სახით 2 თვეში ბიუჯეტში მობილიზებულია 100.1 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 88.9% და წლიური გეგმის 18.2%, ძირითადი შემოსავალი (62.9%-ის ოდენობით) მიღებულია საკუთრებიდან (კერძოდ, პროცენტის სახით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (22.0%).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობების შესრულება (0.6 მლნ ლარი) მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრით გამოირჩევა, როგორც 3 თვის გეგმის (1.8%), ისე წლიური გეგმის მიმართ (0.4%), აღნიშნული მუხლით მიღებული შემოსულობების ძირითადი ნაწილი (0.5 მლნ ლარის ოდენობით) მიღებულია ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობების სახით 2 თვეში უკვე მიღებულია 18.8 მლნ ლარი, 3 თვის გეგმაზე 3.9%-ით მეტი (წლიური გეგმის 12.5%), რაც მთლიანად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე.

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობები (COVID-19-ით გამოწვეული მსოფლიო პანდემიის შედეგად შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო დამატებითი რესურსების მოზიდვის საფუძველზე) მობილიზების მაღალი მარვენებლით ხასიათდება: 2 თვეში ბიუჯეტში ჩარიცხა 922.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 65.7% (წლიური გეგმის 17.5%), რაც დაკავშირებულია ძირითადად, საგარეო დაფინანსების წყაროდან მნიშვნელოვანი თანხების მიღებასთან. კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში მიღებულია 1,088.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 97.6%, ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 3 თვის გეგმის 39.9% (115.5 მლნ ლარი).

	2 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>922.9</b>	<b>65.7%</b>	<b>17.5%</b>
საგარეო	1,204.0	85.7%	22.8%
საბიუჯეტო კრედიტები	1,088.5	97.6%	28.4%
საინვესტიციო კრედიტები	115.5	39.9%	8.0%
საშინაო	-281.1		


ცხრილი 2 : 2021 წლის 2 თვეში ვალდებულების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად წმინდა შემოსულობა -281.1 მლნ ლარს შეადგენს.

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2021 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 2,488.2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 80.0%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში 2019-2020 წლებთან შედარებით მკვეთრად გაზრდილია, ხოლო მისი წილი მთლიან გადასახდელებში, 2019-2020 წლებთან შედარებით, მცირედით შემცირებულია. კერძოდ, 2020 წლის 2 თვეში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 82.7%-ს, ხოლო 2019 წლის 2 თვეში - 82.5%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2021 წლის იანვარ-თებერვალში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 11.6% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 1.5% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 6.9%. 2020 წლის იანვარ-თებერვალში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 9.3%-ის, 1.0%-ის და 7.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2019 წლის იანვარ-თებერვალში - 10.3%-ის, 0.9%-ის და 6.3%-ის ოდენობებით.

2019-2021 წწ. 2 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 10: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2019-2021 წლების იანვარ-თებერვალში (მლნ ლარი)

**ხარჯების** შესრულებამ იანვარ-თებერვალში შეადგინა 1,990.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 57.5% და წლიური გეგმის 15.6%, რაც 2020 წლის მაჩვენებელზე 269.3 მლნ ლარით (15.6%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, გრანტების გარდა ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი (172.0 მლნ ლარი) მოდის სოციალური უზრუნველყოფის მუხლებზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (67.2%) და შრომის ანაზღაურების (65.1%) მუხლები. პროცენტის მუხლის შესრულებიდან (140.1 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 96.8 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 43.1 მლნ ლარი. 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით გამოირჩევა სოციალური უზრუნველყოფის (61.9%), სხვა ხარჯების (58.9%), საქონელი და მომსახურების (46.2%), სუბსიდიებისა (41.5%) და გრანტების (38.0%) მუხლები. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (904.4 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (630.7 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (208.6 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (49.0 მლნ ლარი).



დიაგრამა 11: 2020-2021 წწ. 2 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (287.4 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით გამოირჩევა, რაც 3 თვის გეგმის 67.0%-ს და წლიური გეგმის 11.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (101.3 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (82.4 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (38.1 მლნ ლარი) და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (19.7 მლნ ლარი).

3 თვის გეგმის მიმართ მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრით ხასიათდება **ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (37.5 მლნ ლარი), რაც 3 თვის გეგმის 29.9%-ს და წლიური გეგმის 9.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების ძირითადი წილი მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EIB, EBRD) (პროგრამული კოდი 24 13)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 3.7 მლნ ლარის ოდენობით, ამავე სამინისტროს „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხებზე 4.3 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 26.6 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების** მუხლის მაჩვენებელი (172.7 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა 3 თვის გეგმასთან მიმართებით და მის 60.6%-ს შეადგენს. ხოლო, წლიურ გეგმასთან მიმართებით - 6.2%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 151.0 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>172.7</b>	<b>60.6%</b>	<b>6.2%</b>
საგარეო	151.0	55.5%	5.5%
საშინაო	21.7	168.7%	50.6%


ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2021 წლის 2 თვეში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** შესრულებას, იანვარ-თებერვალში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 290.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 59.3% და წლიური გეგმის 7.8%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 32.3 მლნ ლარი, საიდანაც 15.2 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 15.2 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 2.0 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარ-თებერვალში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიმართა 49.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 14.1 მლნ ლარის, 0.3 მლნ ლარის და 1.9 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ **ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის**<sup>5</sup> მიხედვით შეადგინა 2,278.0 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 58.5% და წლიური გეგმის 15.0%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

<sup>5</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელო 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

2021 წლის 2 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 12: 2021 წლის 2 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

### გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2012-2021 წლების იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2020-2021 წლების იანვარ-თებერვალში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2019 წლის 2 თვის შესრულება	2020 წლის 2 თვის შესრულება	2021 წლის წლიური გეგმა	2021 წლის 3 თვის გეგმა*	2021 წლის 2 თვის შესრულება	2021 წლის 2 თვის შესრულება / 2021 წლის 3 თვის გეგმა		2021 წლის 2 თვის შესრულება / 2020 წლის 2 თვის შესრულება		2021 წლის 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>1,829.7</b>	<b>2,198.5</b>	<b>16,758.1</b>	<b>4,408.8</b>	<b>2,873.1</b>	<b>-1,535.7</b>	<b>65.2%</b>	<b>674.6</b>	<b>30.7%</b>	<b>17.1%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>1,662.7</b>	<b>1,701.1</b>	<b>11,179.2</b>	<b>2,954.5</b>	<b>1,930.9</b>	<b>-1,023.6</b>	<b>65.4%</b>	<b>229.8</b>	<b>13.5%</b>	<b>17.3%</b>
გადასახადები	1,458.0	1,620.1	10,342.3	2,652.8	1,654.1	-998.8	62.4%	34.0	2.1%	16.0%
საშემოსავლო გადასახადი	520.8	613.3	3,315.0	796.0	519.6	-276.4	65.3%	-93.7	-15.3%	15.7%
მოგების გადასახადი	97.6	167.6	951.0	455.0	137.5	-317.5	30.2%	-30.1	-18.0%	14.5%
დღგ	642.6	653.6	4,347.3	997.9	570.4	-427.5	57.2%	-83.2	-12.7%	13.1%
აქციზი	222.4	139.2	1,582.0	223.4	169.6	-53.8	75.9%	30.4	21.9%	10.7%
იმპორტის გადასახადი	10.2	12.7	77.0	20.5	9.5	-11.0	46.5%	-3.2	-25.0%	12.4%
სხვა გადასახადები	-35.6	33.6	70.0	160.0	247.4	87.4	154.6%	213.7	635.4%	353.4%
გრანტები	147.1	9.8	286.9	189.0	176.7	-12.3	93.5%	166.9	1699.3%	61.6%
სხვა შემოსავლები	57.7	71.2	550.0	112.7	100.1	-12.5	88.9%	28.9	40.6%	18.2%
არაფინანსური აქტივების კლება	<b>3.3</b>	<b>0.4</b>	<b>150.0</b>	<b>32.0</b>	<b>0.6</b>	<b>-31.4</b>	<b>1.8%</b>	<b>0.1</b>	<b>32.9%</b>	<b>0.4%</b>
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	<b>2.8</b>	<b>21.8</b>	<b>150.0</b>	<b>18.1</b>	<b>18.8</b>	<b>0.7</b>	<b>103.9%</b>	<b>-3.0</b>	<b>-13.6%</b>	<b>12.5%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>160.8</b>	<b>475.2</b>	<b>5,278.9</b>	<b>1,404.2</b>	<b>922.9</b>	<b>-481.4</b>	<b>65.7%</b>	<b>447.6</b>	<b>94.2%</b>	<b>17.5%</b>
საგარეო	136.2	275.7	5,278.9	1,404.2	1,204.0	-200.3	85.7%	928.3	336.7%	22.8%
საშინაო	24.7	199.5	0.0	0.0	-281.1	-281.1		-480.6	-240.9%	
<b>გადასახდელები</b>	<b>1,790.1</b>	<b>2,082.5</b>	<b>18,384.5</b>	<b>4,302.4</b>	<b>2,488.2</b>	<b>-1,814.2</b>	<b>57.8%</b>	<b>405.7</b>	<b>19.5%</b>	<b>13.5%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>1,476.8</b>	<b>1,721.3</b>	<b>12,758.3</b>	<b>3,462.6</b>	<b>1,990.5</b>	<b>-1,472.0</b>	<b>57.5%</b>	<b>269.3</b>	<b>15.6%</b>	<b>15.6%</b>
შრომის ანაზღაურება	238.6	239.8	1,614.7	421.5	274.3	-147.2	65.1%	34.5	14.4%	17.0%
საქონელი და მომსახურება	176.6	179.9	1,606.7	456.6	211.0	-245.6	46.2%	31.2	17.3%	13.1%
პროცენტი	120.1	129.7	918.0	208.4	140.1	-68.4	67.2%	10.4	8.0%	15.3%
სუბსიდიები	58.7	88.3	649.7	241.4	100.3	-141.1	41.5%	12.0	13.6%	15.4%
გრანტები	58.0	83.7	790.6	173.6	65.9	-107.7	38.0%	-17.7	-21.2%	8.3%
სოციალური უზრუნველყოფა	622.2	732.4	5,361.9	1,460.7	904.4	-556.3	61.9%	172.0	23.5%	16.9%
სხვა ხარჯები	202.7	267.6	1,816.7	500.3	294.6	-205.8	58.9%	27.0	10.1%	16.2%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>184.9</b>	<b>192.8</b>	<b>2,416.9</b>	<b>429.1</b>	<b>287.4</b>	<b>-141.7</b>	<b>67.0%</b>	<b>94.7</b>	<b>49.1%</b>	<b>11.9%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	<b>16.3</b>	<b>21.5</b>	<b>402.7</b>	<b>125.7</b>	<b>37.5</b>	<b>-88.2</b>	<b>29.9%</b>	<b>16.0</b>	<b>74.4%</b>	<b>9.3%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>112.0</b>	<b>146.9</b>	<b>2,806.6</b>	<b>285.0</b>	<b>172.7</b>	<b>-112.3</b>	<b>60.6%</b>	<b>25.8</b>	<b>17.6%</b>	<b>6.2%</b>
საგარეო	109.8	144.8	2,763.7	272.2	151.0	-121.2	55.5%	6.3	4.3%	5.5%
საშინაო	2.2	2.1	42.8	12.8	21.7	8.8	168.7%	19.5	917.0%	50.6%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაბროვება / - გამოყენება)</b>	<b>39.6</b>	<b>116.1</b>	<b>-1,626.4</b>	<b>106.4</b>	<b>384.9</b>	<b>278.6</b>		<b>268.8</b>		

\* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №333 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2019 წლის 2 თვის შესრულება	2020 წლის 2 თვის შესრულება	2021 წლის წლიური გეგმა	2021 წლის 3 თვის გეგმა	2021 წლის 2 თვის შესრულება	2021 წლის 2 თვის შესრულება / 2021 წლის 3 თვის გეგმა		2021 წლის 2 თვის შესრულება / 2020 წლის 2 თვის შესრულება		2021 წლის 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>1,662.7</b>	<b>1,701.1</b>	<b>11,179.2</b>	<b>2,954.5</b>	<b>1,930.9</b>	<b>-1,023.6</b>	<b>65.4%</b>	<b>229.8</b>	<b>13.5%</b>	<b>17.3%</b>
გადასახადები	1,458.0	1,620.1	10,342.3	2,652.8	1,654.1	-998.8	62.4%	34.0	2.1%	16.0%
გრანტები	147.1	9.8	286.9	189.0	176.7	-12.3	93.5%	166.9	1699.3%	61.6%
სხვა შემოსავლები	57.7	71.2	550.0	112.7	100.1	-12.5	88.9%	28.9	40.6%	18.2%
<b>ხარჯები</b>	<b>1,476.8</b>	<b>1,721.3</b>	<b>12,758.3</b>	<b>3,462.6</b>	<b>1,990.5</b>	<b>-1,472.0</b>	<b>57.5%</b>	<b>269.3</b>	<b>15.6%</b>	<b>15.6%</b>
შრომის ანაზღაურება	238.6	239.8	1,614.7	421.5	274.3	-147.2	65.1%	34.5	14.4%	17.0%
საქონელი და მომსახურება	176.6	179.9	1,606.7	456.6	211.0	-245.6	46.2%	31.2	17.3%	13.1%
პროცენტი	120.1	129.7	918.0	208.4	140.1	-68.4	67.2%	10.4	8.0%	15.3%
სუბსიდიები	58.7	88.3	649.7	241.4	100.3	-141.1	41.5%	12.0	13.6%	15.4%
გრანტები	58.0	83.7	790.6	173.6	65.9	-107.7	38.0%	-17.7	-21.2%	8.3%
სოციალური უზრუნველყოფა	622.2	732.4	5,361.9	1,460.7	904.4	-556.3	61.9%	172.0	23.5%	16.9%
სხვა ხარჯები	202.7	267.6	1,816.7	500.3	294.6	-205.8	58.9%	27.0	10.1%	16.2%
<b>საოპერატიული სალდო</b>	<b>185.9</b>	<b>-20.2</b>	<b>-1,579.1</b>	<b>-508.1</b>	<b>-59.7</b>	<b>448.4</b>	<b>11.7%</b>	<b>-39.5</b>	<b>195.8%</b>	<b>3.8%</b>
არაფინანსური აქტივების ცვლილება	<b>181.6</b>	<b>192.3</b>	<b>2,266.9</b>	<b>397.1</b>	<b>286.9</b>	<b>-110.3</b>	<b>72.2%</b>	<b>94.5</b>	<b>49.1%</b>	<b>12.7%</b>
ზრდა	184.9	192.8	2,416.9	429.1	287.4	-141.7	67.0%	94.7	49.1%	11.9%
კლება	3.3	0.4	150.0	32.0	0.6	-31.4	1.8%	0.1	32.9%	0.4%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>4.3</b>	<b>-212.5</b>	<b>-3,846.1</b>	<b>-905.2</b>	<b>-346.5</b>	<b>558.7</b>	<b>38.3%</b>	<b>-134.0</b>	<b>63.1%</b>	<b>9.0%</b>
ფინანსური აქტივების ცვლილება	<b>53.1</b>	<b>115.8</b>	<b>-1,373.7</b>	<b>213.9</b>	<b>403.6</b>	<b>189.7</b>	<b>188.7%</b>	<b>287.8</b>	<b>248.5%</b>	<b>-29.4%</b>
ზრდა	<b>56.0</b>	<b>137.6</b>	<b>402.7</b>	<b>232.0</b>	<b>422.4</b>	<b>190.4</b>	<b>182.1%</b>	<b>284.9</b>	<b>207.0%</b>	<b>104.9%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	39.6	116.1	0.0	106.4	384.9	278.6	361.8%	268.8	231.6%	
სესხები	16.3	21.5	402.7	125.7	37.5	-88.2	29.9%	16.0	74.4%	9.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
<b>კლება</b>	<b>2.8</b>	<b>21.8</b>	<b>1,776.4</b>	<b>18.1</b>	<b>18.8</b>	<b>0.7</b>	<b>103.9%</b>	<b>-3.0</b>	<b>-13.6%</b>	<b>1.1%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	1,626.4	0.0	0.0	0.0		0.0		0.0%
სესხები	2.8	21.8	150.0	18.1	18.8	0.7	103.9%	-3.0	-13.6%	12.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0003	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
<b>გალდებულებების ცვლილება</b>	<b>48.8</b>	<b>328.3</b>	<b>2,472.4</b>	<b>1,119.2</b>	<b>750.2</b>	<b>-369.0</b>	<b>67.0%</b>	<b>421.8</b>	<b>128.5%</b>	<b>30.3%</b>
ზრდა	<b>160.8</b>	<b>475.2</b>	<b>5,278.9</b>	<b>1,404.2</b>	<b>922.9</b>	<b>-481.4</b>	<b>65.7%</b>	<b>447.6</b>	<b>94.2%</b>	<b>17.5%</b>
საშინაო	24.7	199.5	0.0	0.0	-281.1	-281.1		-480.6	-240.9%	
საგარეო	136.2	275.7	5,278.9	1,404.2	1,204.0	-200.3	85.7%	928.3	336.7%	22.8%
<b>კლება</b>	<b>112.0</b>	<b>146.9</b>	<b>2,806.6</b>	<b>285.0</b>	<b>172.7</b>	<b>-112.3</b>	<b>60.6%</b>	<b>25.8</b>	<b>17.6%</b>	<b>6.2%</b>
საშინაო	2.2	2.1	42.8	12.8	21.7	8.8	168.7%	19.5	917.0%	50.6%
საგარეო	109.8	144.8	2,763.7	272.2	151.0	-121.2	55.5%	6.3	4.3%	5.5%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

### დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წლიური გეგმა	2021 წლის 3 თვის გეგმა	2021 წლის 2 თვის შესრულება	2021 წლის 2 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2021 წლის 2 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	18,384.5	4,302.4	2,488.2	13.5%	57.8%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64.7	16.1	7.5	11.6%	46.6%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	53.7	13.2	6.1	11.4%	46.3%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	19.7	5.0	2.2	11.1%	44.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	6.7	1.7	0.9	13.3%	53.2%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	27.4	6.6	3.0	11.2%	46.4%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	27.3	6.5	3.0	11.2%	46.4%
01 01 03 02	პერსონალის პროფესიული განვითარება	0.1	0.02	0.01	10.0%	39.1%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	9.6	2.4	1.2	12.4%	48.8%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.5	0.2	0.1	12.1%	35.5%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.0	0.3	0.1	11.2%	44.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6.3	2.1	0.9	13.6%	41.0%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსენის აპარატი	0.7	0.2	0.1	13.0%	51.7%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16.0	4.1	2.3	14.2%	55.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16.8	4.8	2.1	12.3%	42.9%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	70.3	8.7	4.1	5.8%	46.5%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	13.8	3.4	1.8	13.3%	53.6%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.3	0.3	0.1	9.6%	45.3%
06 03	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14.3	3.6	2.1	14.6%	58.5%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	40.8	1.5	0.00005	0.0%	0.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4.3	1.1	0.5	12.2%	47.3%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12.5	3.2	1.3	10.8%	42.6%
09 00	საერთო სასამართლოები	86.0	18.5	9.5	11.0%	51.4%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	84.1	18.0	9.3	11.1%	51.7%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1.9	0.5	0.2	9.3%	38.2%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.5	1.8	0.7	10.1%	35.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	0.9	0.2	0.1	12.5%	49.4%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.1	13.9%	58.7%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.8	0.2	0.1	13.3%	49.8%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, სავარეგოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.2	0.1	13.0%	51.8%

15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.1	14.8%	55.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.2	0.1	11.8%	43.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.1	14.7%	58.8%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	0.9	0.2	0.1	15.6%	57.4%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.1	12.0%	45.9%
20 00	<b>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური</b>	<b>137.5</b>	<b>35.3</b>	<b>20.4</b>	<b>14.8%</b>	<b>57.8%</b>
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	118.0	29.6	17.6	14.9%	59.5%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	18.5	5.4	2.7	14.6%	50.2%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	1.0	0.3	0.1	8.3%	27.2%
21 00	<b>სსიპ – საპენსიო სააგენტო</b>	<b>3.4</b>	<b>1.3</b>	<b>0.8</b>	<b>23.3%</b>	<b>59.1%</b>
22 00	<b>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>	<b>2.6</b>	<b>0.6</b>	<b>0.3</b>	<b>10.3%</b>	<b>44.2%</b>
23 00	<b>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</b>	<b>88.9</b>	<b>34.2</b>	<b>21.8</b>	<b>24.6%</b>	<b>63.8%</b>
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	18.7	4.6	2.3	12.3%	50.2%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	40.0	22.1	15.3	38.2%	69.3%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	21.5	5.6	3.3	15.3%	58.3%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	6.8	1.4	0.7	10.3%	50.1%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	0.9	0.3	0.1	15.9%	46.7%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	1.1	0.3	0.2	14.3%	56.2%
24 00	<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>	<b>606.8</b>	<b>232.2</b>	<b>56.0</b>	<b>9.2%</b>	<b>24.1%</b>
